,,დამტკიცებულია“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სატენდერო კომისიის 2014 წლის
09 იანვრის სხდომის N1 ოქმით

კონსტრუქციის მასალების და ანალოგიური ნივთები/საგნების (სასათბურე კონსტრუქციების) ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის

CPV კოდი - 44100000

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12_1 მუხლის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე

ქ. ბათუმი
2014 წელი

სარჩევი:

1. ტექნიკური და სხვა პირობები ——————————————————————---------- 3
2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი———---------- 6
3. დამატებითი ინფორმაცია——————————————————————-———---------- 11
4. დანართი N1 რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი -———---------- 12
5. დანართი N2 ფასების ცხრილი და მიწოდების ვადები ————-——---------- 13
6. დანართი N3 მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და პარამეტრები ——————————————-——---------- 14
7. დანართიN4 ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია)---------- 15

1. ტექნიკური და სხვა პირობები

1.1. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

ა) რეკვიზიტები და სატენდერო წინადადების ფასი დანართი №1–ის მიხედვით;

ბ) ფასების ცხრილი, მიწოდების ვადები დანართი №2–ის მიხედვით;

გ) მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და პარამეტრები დანართი №3 მიხედვით;

დ) დეტალური ინფორმაცია მოსაწოდებელი საქონლის საგარანტიო პირობების (საგარანტიო მომსახურების) შესახებ;

ე) ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ.

ვ) ბანკის მიერ გაცემული წერლობითი თანხმობა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე.

ზ) სათბურის კარკასისა და პოლიეთილენის ფირის დასამზადებლად გამოყენებული მასალების ხარისხის შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

1.1.ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

- შემოთავაზებული საქონელი სრულად უნდა შეესაბამებოდეს დანართი N3–ით გათვალისწინებულ მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკურ მახასიათებლებსა და პარამეტრებს.

- მომწოდებლმა უნდა უზრუნველყოს სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) განთავსების ხარჯების დაფარვა სამინისტროს მიერ შესყიდული სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გადაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა.

1.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის რაოდენობა (კომპლექტი)
1	50 კვ.მ ფართობის სასათბურე კონსტრუქცია (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი)	250

1.2.1. ლითონის კარკასი – 250 ცალი:

სათბურის ტიპი: თაღოვანი;
სათბურის კარკასი: გალვანიზირებული, მოთუთიებული ლითონი;
სათბურის კონსტრუქცია მარტივად ასაწყობი (ჭანჭიკებით და ქანჩებით);
პროფილის განივი კვეთა – დიამეტრი არანაკლებ 40 მმ, პროფილის კედლის სისქე არანაკლებ 2 მმ;
სექციების რაოდენობა – 5 ცალი (ყოველ ორ მეტრში);
სათბურების ზომები:
სიგრძე არანაკლებ – 10 მ;
სიგანე არანაკლებ – 5 მ;
გვერდის სიმაღლე არანაკლებ – 2 მ;
კეხში სიმაღლე არანაკლებ – 3,5 მ.
რკინის კარი – სათბურის კარკასისათვის დამახასიათებელი პარამეტრებით;
კონსტრუქციის სიმძიმის მედეგობა 1 კვ.მ–ზე არანაკლებ 50 კგ
სათბურის გვერდითი კედლის მოძრაობის შესაძლებლობა ვენტილაციის გაუმჯობესების მიზნით.
ლითონის კარკასის საგარანტიო ვადა არანაკლებ 3 წელი.

1.2.2. პოლიეთილენის ფირი – 250 ცალი:

პოლიეთილენის ფირი 5 კომპონენტიანი (პოლიეთილენის ფირს გააჩნია ორი მხარე – შიდა და გარე მხარე);

პოლიეთილენის ფირის სისქე – არანაკლებ 180 მიკრონისა;

პოლიეთილენის ფირის დამცავი ეფექტები: მედეგობა ქარისადმი, სეტყვისადმი, ძლიერი ყინვებისა და მცხუნვარე მზისადმი, ულტრაიისფერი გამოსხივებისადმი, ცვრის წარმოქმნისადმი, თოვლის სიმძიმის მედეგობა 1 კვ.მ–ზე არანაკლებ 400 კგ.

სასათბურე კონსტრუქციის უნდა გააჩნდეს აწყობისა და მონტაჟის ინსტრუქცია ქართულ ენაზე.

პოლიეთილენის ფირის საგარანტიო ვადა არანაკლებ 3 წელი;

1.3. მიწოდების პირობები და ვადები:

1.3.1 მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **50** კალენ-დარული დღე.

1.3.2. მიწოდების ადგილი: შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე ქ. ბათუმის ფარგლებში.

1.4. ანგარიშსწორების პირობები:

1.4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

1.4.2.ანგარიშსწორება მოხდება მოწოდებულ საქონელზე სასაქონლო ზედნადების/ანგა-რიშფაქტურის წარდგენის, საბოლოო შემოწმების აქტისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

1.5. მოსაწოდებელი საქონლის საგარანტიო პირობები:

1.5.1 მოსაწოდებელ საქონელს უნდა გააჩნდეს არანაკლებ (3 წელი) საგარანტიო ვადა;

1.5.2 საგარანტიო მომსახურეობაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

1.6. დამატებითი მოთხოვნები

1.6.1.სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდას-მულიუნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.6.2. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

1.6.3. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების და განბაჟების ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ). DDP-მიწოდება საბაჟო გადასახდელის ჩათვლით. საქონლის დანიშნულების პუნქტამდე ჩატანის, ტრანსპორტირების დროს დაზღვევის და ყველა საბაჟო გადასახადების ჩათვლით.

1.6.4. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

1.6.5. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გა-რანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება მინიმუმ 160 კალენდარული დღით, ტენდერისათვის სტატუსის – ,,წინადადების მიღება დაწყებულია'' მინიჭების ეტაპიდან.

1.6.6. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადა-

დების ფასი იქნება 200 000 ლარი ან მეტი, მის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ბანკის მიერ გაცემული წერილობით თანხმობა პრეტენდენტის ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე სახელშეკრულებო თანხის 5 % ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას (დანართი N4 გათვალისწინებული ნიმუშის მიხედვით).

1.6.7. გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ ვაჭრობის შედეგად სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე 20 %–ზე მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

1.6.8. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას როგორც უცხოენოვანი დოკუმენტი, ასევე მას უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების დროს

ქ. ბათუმი 2014 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნობის სამინისტრო (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მინისტრის ზაურ ფუტკარაძის სახით და მეორეს მხრივ, ——————————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი ——————— სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ" ქვეპუნქტის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (SPA------) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს

შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი"– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ფასების ცხრილი" – მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „ფასების ცხრილი".

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია 50 კვ.მ ფართობის 250 ერთეული სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) (CPV44100000) შესყიდვა.

2.2. საქონლის ზუსტი დასახელება, ერთეულის ფასი და მიწოდების ვადა განსაზღვრულია დანართი N 2 – ის მიხედვით.

2.3. საქონლის ტექნიკური პარამეტრები განსაზღვრულია საქონლის ტექნიკური მახასიათებლების და პარამეტრების სრული აღწერილობით (დანართი 3).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ——————————————ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთდროულად ხელშეკრულების გაფორ-მებიდან 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ საბოლოო შემოწმებისა და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.

5.2. საქონლის მიღებას განახორციელებს სამინისტროს სპეციალური კომისია.

5.3. მოწოდებულ თითოეულ საქონელს თან უნდა ახლდეს სასათბურე კონსტრუქციის აწყობისა და მონტაჟის ინსტრუქცია ქართულ ენაზე.

5.4. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის დაწუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონლის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელის მიერ მოწოდებული საქონელის რულად უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლების სრულ აღწერილობაში მითითებულ ტექნიკურ დახარისხობრივ პარამეტრებს (დანართი N3 თან ერთვის).

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესაბამისი კონტროლის ჯგუფი.

8. შეფუთვა

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

9.საქონლის განთავსების უზრუნველყოფა

მომწოდებლმა უნდა უზრუნველყოს სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) განთავსების ხარჯების დაფარვა სამინისტროს მიერ შესყიდული სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გადაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა.

10. საგარანტიო მომსახურება

10.1. მოსაწოდებელ საქონელს უნდა გააჩნდეს არანაკლებ (3 წლიანი) საგარანტიო ვადა;

10.2. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას საქონლის საგარანტიო ვადაში მომსახურებაზე. სწორი ექსპლუატაციის პირობებში, თუ დაზიანდა 50 კვ.მ ფართობის

სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) რომელიმე ნაწილი, ან იქნა აღმოჩენილი ქარხნული წუნი მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საგარანტიო პერიოდში (3 წლიანი) თავისი ხარჯებით 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს უშუალოდ სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) შეკეთება, ხოლოშეუკეთებლობის შეთხვევაში შეცვლა.

10.3.გარანტიის მოქმედების ვადის ათვლა იწყება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტოსა და ფერმერს შორის სასათბურე კონსტრუქციის გადაცემის შესაბამისი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმებიდან.

11. ანგარიშსწორება

11.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. გადარიცხვა მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

11.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

11.3.ანგარიშსწორება მოხდება მოწოდებულ საქონელზე სასაქონლო ზედნადების/ანგარიშფაქტურის წარმოდგენის, საბოლოო შემოწმების აქტისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

12.ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს _____ (საქონლის ღირებულების 5%) ლარის ოდენობის ხელშეკრულების საბანკო გარანტია.

12.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

12.3. მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. თუ მიმწოდებელის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადები, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობისას შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5(ხუთი) %-ის ოდენობით.

13.4. მიმწოდებელი ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე და წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადასახადო დავალების დედანი ან ბანკისმიერ დამოწმებული ასლი).

13.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დარიცხული პირგასამტეხლო გაორმაგდება.

14. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია

მხოლოდწერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

14.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ-შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერგაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდა;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. დაუძლეველი ძალა

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი ძალის გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “დაუძლეველი ძალა” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა

1.3 დაუძლებელი ძალის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზან-შეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი ძალის ზეგავლენისაგან.

17. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრივალდებულებები მესამე მხარეს.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან დამოქმედებს 2014 წლის ----------, გარდა ხელშეკრულების მე-10 პუნქტისა.

21. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთიპირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	“მიმწოდებელი”
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის	---
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	---
ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქ. N 119	საიდენტიფიკაციო კოდი:
საიდენტიფიკაციო კოდი: 245428265	ანგარიშის N
	მიმღები ბანკი:
	ბანკის კოდი:

ზაურ ფუტკარაძე
მ ი ნ ი ს ტ რ ი

3. დამატებითი ინფორმაცია :

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119, მე-5 სართული. საკონტაქტო პირი: სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი თემურ ბოლქვაძე ტელ: 599 89-89-36; (422) 24-78-49. temurbolkvadze@gmail.com მთ. სპეციალისტი თამილა ჩხარტიშვილი (422) 24-78-49.

.

რეკვიზიტები და სატენდერო წინადადების ფასი

1. პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

3. პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

4. პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:

5. საიდენტიფიკაციო კოდი:

6. პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

7. ელექტრონული ფოსტის მისამართი:

8. მომსახურე ბანკის დასახელება:

9. ბანკის კოდი:

10. ანგარიშის ნომერი:

11. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი _____

შენიშვნა: მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი ან/და ბეჭედ დასმული.

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება_____

№	დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ (ლარი)	მიწოდების ადგილი და ვადები
1	50კვმ–იანი სასათბურე კონსტრუქცია (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი)	კომპლექტი	250			**ქ. ბათუმი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღის ვადაში**
სულ			**250**			

შენიშვნა: - მომწოდებლმა უნდა უზრუნველყოს სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) განთავსების ხარჯების დაფარვა სამინისტროს მიერ შესყიდული სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გადაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა.

(*) დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გათვალისწინებით, ასევე პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს საქონლის ღირებულებაში ხარჯი მიწოდების ადგილამდე.
(**)გამარჯვებულ პირს დამატებით მოეთხოვება მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი სატენდერო წინადადებისა და ფასების ცხრილის განფასება.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი_____

მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და პარამეტრები

№	აღწერა	მოსათხოვნი ტექნიკური მახასიათებლები და პარამეტრები	მომწოდებლის ტექნიკური მახასიათებლები და პარამეტრები
		მწარმოებელი	
		მოდელი	
		მწარმოებელი ქვეყანა	
1	50კვმ–იანი სასათბურე კონსტრუქციის ლითონის კარკასი	**სათბურის ტიპი:** თაღოვანი	
		სათბურის კარკასი: გალვანიზირებული, მოთუთიებული ლითონი;	
		სათბურის კონსტრუქცია მარტივად ასაწყობი (ჭანჭიკებით და ქანჩებით);	
		პროფილის განივი კვეთა – დიამეტრი არანაკლებ 40 მმ, პროფილის კედლის სისქე არანაკლებ 2 მმ;	
		სექციების რაოდენობა – 5 ცალი (ყოველ ორ–ორ მეტრში);	
		სათბურების ზომები: სიგრძე არანაკლებ – 10 მ;	
		სიგანე არანაკლებ – 5 მ;	
		გვერდის სიმაღლე არანაკლებ – 2 მ;	
		კეხში სიმაღლე არანაკლებ – 3,5 მ.	
		რკინის კარი – სათბურის კარკასისათვის დამახასიათბელი პარამეტრებით;	
		სათბურის გვერდითი კედლის მოძრაობის შესაძ-ლებლობა ვენტილაციის გაუმჯობესების მიზნით.	
		კონსტრუქციის სიმძიმის მედეგობა 1 კვ.მ–ზე არანაკლებ 50 კგ	
		ლითონის კარკასის საგარანტიო ვადა არანაკლებ 3 წელი.	
2	50კვმ–იანი სასათბურე კონსტრუქციის პოლიე-თილენის ფირი	პოლიეთილენის ფირი 5 კომპონენტიანი (პოლიეთილე-ნის ფირს გააჩნია ორი მხარე – შიდა და გარე მხარე);	
		პოლიეთილენის ფირის სისქე – არანაკლებ 180 მიკრონისა;	
		პოლიეთილენის ფირის დამცავი ეფექტები: მედეგობა ქარისადმი, სეტყვისადმი, ძლიერი ყინვებისა და მცხუნვარე მზისადმი, ულტრაიისფერი გამოსხივები-სადმი, ცვრის წარმოქმნისადმი, თოვლის სიმძიმის მედეგობა 1 კვ.მ–ზე არანაკლებ 400 კგ; პოლიეთილენის ფირის საგარანტიო ვადა არანაკლებ 3 წელი;	

პრეტენდენტის ხელწერა ----------

შენიშვნა:

– შემოთავაზებული საქონლის ყველა პარამეტრი პრეტენდენტის სპეციფიკაციაში მითითებული უნდა იქნას სრულად და კონკრეტულად;

– მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლების და აღწერილობის დანართი N3 მომწოდებლის ტექნიკური მახასიათებლების და პარამეტრების სვეტში მინიშნებების – „შეესაბამება მოთხოვნებს“, „აკმაყოფილებს მოთხოვნებს“ და ა.შ . ჩაწერა დაუშვებელია;

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია)

ვის:_____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში "მიმწოდებელმა" _____ ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით სახელშეკრულებო თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები ჩვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

_____

(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი _____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)